| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ცოდნას შემუშავებული აქვს დოკუმენტი: „ შპს ცოდნას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტი“. წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის შესახებ ინფორმაციას და აერთიანებს სკოლაში დასაქმებული პირების, პროცედურების, შეფასების სფეროების, პერიოდულობის და ანგარიშგების წესებს.<br>აღნიშნული დოკუმენტი ეყრდნობა ხარისხის განვითარების სფეროში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მეთოდს (PDCA): დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე - ციკლზე. ეს ციკლი ეხება სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას, ადამიანური რესურსების შეფასებას საქართველოს კანონმდებლობასა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | და დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესთან მიმართებაში, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის შეფასებას სასწავლო პროცესთან და მის განვითარებას საგანმანათლებლო მიზნებთან მიმართებაში.<br>შპს ცოდნის სამოქმედო გეგმის მიხედვით, დაგეგმილია სასწავლო პროცესის განხორციელების ყოველწლიური მონიტორინგი და შედეგების ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების აქტივობები.<br>სკოლის ადმინისტრაცია ჩართულია სკოლის მუშაობის ანალიზის პროცესში. ამისათვის ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლა ამზადებს სასწავლო წლის თვითშეფასებას, ნარატიული სახით. ყოველწლიურ თვითშეფასებაზე დაყრდნობით, დაწესებულება შეიმუშავებს მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმას და მისი დანერგვის სტრატეგიებს.<br>სკოლას ცალკე ყავს დირექტორის მოადგილე ხარისხის მართვის მიმართულებით (ხარისხის მართვის მენეჯერი). დირექტორის მოადგილე ხარისხის მართვის მიმართულებით უზრუნველყოფს სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით სკოლის წინაშე არსებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას, სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებას, მონიტორინგს, შედეგების ანალიზსა და სკოლის განვითარების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას; ცალკე სკოლის დირექტორმა წარმოადგინა მიმდინარე წლის ანგარიში, სადაც აქცენტირება სასწავლო პროცესის ხარისხზე იყო გაკეთებული.<br>შპს ცოდნის ხარისხის განვითარების ჯგუფში სკოლის ადმინისტრაციის გარდა, ჩართულნი არიან : ხარიცხის მართვის მენეჯერი, კათედრის ხელმძღვანელები და IT მენეჯერი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 7. შპს ცოდნას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტი;<br>8. შპს ცოდნის სკოლის დებულება: ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებების წესი‘‘;<br>9. ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან;<br>10. დირექტორის წლიური ანგარიში. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | 1.შპს ცოდნას მიეცა რეკომენდაცია მომდევნო 2022-2023 სასწავლო წლის გეგმის პროექტში მოეხდინა „დისტანციურ სწავლების შესახებ“ საკითხის კურიკულუმში შეტანა.<br>2. სკოლას მიეცა რეკომენდაცია სკოლის ყველა დოკუმენტში დაწესებულების ზუსტი იურიდიული სახელწოდება - „შპს ცოდნა“ ყოფილიყო გამოყენებული და გონივრულ ვადაში შესაბამისობაში მოსულიყო ყველა დოკუმენტი.<br>3. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2022 - 2023 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტი სწავლის დაწყებამდე შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.<br>5. მომდევნო წელს სასკოლო სასწავლო გეგმაში გაითვალისწინოს და XII კლასში არჩევით საგნად მოსწავლეებს შესთავაზოს ისეთი მოდულები, რომელთა პროგრამაც გათვლილია ერთი სემესტრის პერიოდზე.<br>6. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ეფექტურად დანერგვის მიზნით, დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის აქტიურად დანერგვის შესახებ. კერძოდ, სასურველია სკოლის ყველა კათედრამ შექმნას და აწარმოოს მშობელთა ბარათები, დიაგნოსტირება; |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| |
|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: |
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ცოდნა მდებარეობს ქალაქ თბილისში, მისამართზე: **სარაჯიშვილის გამზირი N108 , ნაკვეთი 23/020.** დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს, რომ შპს ცოდნას გაფორმებული აქვს იჯარით სარგებლობის ხელშეკრულება სსიპ - კოლეჯ „მერმისთან“ (ს/კოდი 209467646) 5 წლის ვადით- 2021 წლიდან. სსიპ - კოლეჯ „მერმისს“ აღნიშნული შენობა გადაცემული აქვს უზურფრუქტით სახელმწიფოს მხრიდან. ვინაიდან რეავტორიზაციის ვადაა 6 წელი, ხოლო აღნიშნული იჯარის საფუძველზე შენობით სარგებლობის უფლება სკოლას აქვს 4 წელი შესაბამისობაში არ მოდის ავტორიზაციის მოთხოვნებთან. ამ ხარვეზის გამოსწორებაზე ვიზიტისას მიეთითა შპს ცოდნის ადმინისტრაციას. სკოლამ წარმოადგინა წერილი, რომლითაც 2022 წლის 14 აპრილს მიმართა საქართველოს პრემიერ მინისტრს შენობის ავტორიზაციის ვადებით გათვალისწინებით გადმოცემის ან იჯარით სარგებლობის თხოვნით (იხილეთ დანართის სახით) . სკოლის ინფორმაციით აღნიშნული საკითხი მთავრობის სდომაზე ჩანიშნული არის 28 ივლისს. დაწესებულების იჯარით სარგებლობაშია სამსართულიანი შენობის მხოლოდ ორი სართული - საერთო ფართით **1749,716 კვ.მ. და მიმდებარე ეზო.** სკოლის ინფრასტრუქტურა და უსაფრთხოების ნორმები შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N 41 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლის შენობაშია : სპორტული დარბაზი, სასადილო, ბიბლიოთეკა (სააქტო დარბაზის კულისებში), IT კაბინეტი სააქტო დარბაზის მიმდებარე ფართში, ექიმის ოთახი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწყებითი კლასის საკლასო ოთახები და ადმინისტრაციული კაბინეტები გადანაწილებულია შენობის პირველ სართულზე, ხოლო მეორე სართულზე განლაგებულია საბაზო და საშუალო საფეხურზე მყოფი მოსწავლეების კლასები.<br>დაწესებულების ეზოში მოწყობილია რეკრეაციული ზონა. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | **ქ. თბილისი, გლდანი, სარაჯიშვილის გამზირი N108 , ნაკვეთი 23/020.** |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | **01.11.04.023.061** |
| *კვ.მ.* | **იჯარით აღებული შენობის ფართია 1749, 716 კვ.მ.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>2. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;<br>3. ვიზუალური დათვალიერება.<br>4. შპს ცოდნის ა/წლის 15 აპრილის №744 წერილი (დანართი 1). |
| შეფასება | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში არის 18 საკლასო ოთახი, ასევე დარბაზი, ჭადრაკის კაბინეტი, დარბაზი (რომელშიც განთავსებულია კომპიუტერების კაბინეტი), საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ბიბლიოთეკა. ყველა მათგანი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: მერხებით, სკამებით, პროექტორებით, კომპიუტერებით, დაფებით და თვალსაჩინოებებით.<br><br>სკოლაში ვიზუალური დათვალიერების დროს ადგილზე იყო 505 მერხი და სკამი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. შიდა აზომვითი ნახაზი;<br>3. ვიზუალური დათვალიერება;<br>4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს დახურული სპორტული დარბაზი. ასევე არის კაბინეტი მოწყობილი ჭადრაკისათვის.<br><br>სკოლას გააჩნია შესაბამისი სპორტული ინვენტარი, ჭადრაკის დაფები, ბურთები და სხვა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სპორტული ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს ლაბორატორია, რომლებიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, მათ შორის სველი წერტილით, გაწერილია ლაბორატორიის სარგებლობის წესები.<br>აღსანიშნავია, რომ კაბინეტი სადაც არის ლაბორატორია განთავსებული მცირეზომისაა, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია ლაბორატორიის სხვა ოთახში მოწყობასთან დაკავშირებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. შესყიდვის დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა.<br><br>სკოლას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი წყარო,სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის და დასაქმებული პირებისთვის (სულ 7 ერთეული). ასევე ადაპტირებული სველი წერტილი შშმ მოსწავლეებისათვის. ყველა სველ წერტილში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.<br><br>სკოლა თბება ცენტრალური გათბობის სისტემით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. კომუნალური გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. ვიზუალური დათვალიერება;<br>3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მეორე სართულზე, სააქტო დარბაზის კულისებში განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია 3794 ერთეულისაგან შემდგარი წიგნადი ფონდი, მათ შორის სამხატვრო და სამეცნიერო ლიტერატურა და გრიფირებული სახელმძღვანელოები.<br><br>სკოლაში დასაქმებულია კვალიფიციური ბიბლიოთეკარი, რომელიც აწარმოებს წიგნების აღრიცხვას „ექსელის" ფაილში. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესისამებრ, შექმნილია ანბანური და სისტემური კატალოგები, მკითხველთა ინდივიდუალური ბარათები.<br><br>ბიბლიოთეკის შესასვლელთან, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სამუშაო საათები.<br>➢ ვინაიდან შპს ცოდნის სკოლის ბიბლიოთეკაში შესვლა მოსახერხებელია მხოლოდ IT კაბინეტის გავლით, ვიზიტისას |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ექსპერტებმა რეკომენდაცია მისცეს სკოლის ადმინისტრაციას ბიბლიოთეკის სამუშაო საათების ისტის გაკვეთილების განსხვავებულ დროს გადატანის; |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. წიგნების აღრიცხვის ელექტრონული ფაილი;<br>3. ბიბლიოთეკართან გასაუბრება;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ცოდნის მთავარ შესასვლელში დამონტაჟებულია არა მიზანშეწონილი დახრილობის მქონე პანდუსი, სადაც ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლე დამოუკიდებლად ვერ ავა და დიდია რისკი ტრავმის.<br>➢ სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია და უკვე ვიზიტის მეორე დღესვე შპს ცოდნამ დაიწყო თანამედროვე, სტანდარტის შესაბამისი პანდუსის შექმნის სარეაბილიტაციო სამუშაოები.<br><br>სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შენობის აზომვითი ნახაზი;<br>2. ვიზუალური დათვალიერება.<br>3. გადმოგზავნილი ფოტო-მასალა; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლა უზრუნველყოფილია 30 კომპიუტერით ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტ ქსელში, სკოლის მფლობელობაშია ასევე 2 პროექტორი, 5 პრინტერი, 2 სკანერი.<br><br>სკოლას აქვს საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტში, რომელიც განთავსებულია სააქტო დარბაზში, კოლის ადმინისტრაციის განცხადებით საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობის დროს დარბაზით და ბიბლიოთეკით (რომელშიც შესვლა შესაძლებელია, მხოლოდ დარბაზის გავლით) არავინ სარგებლობს, რაც გაწერილია ბიბლიოთეკის სარგებლობის ცხრილში და ასევე მორიგე მასწავლებელი აკონტროლებს ყოველივეს. ექსპერტმებმა აღნიშნულთან დაკავშირებით ურჩიეს დაწესებულებას ტექნოლოგიების კაბინეტის სხვა კლასში გადატანილოყო.<br><br>კაბინეტში განთავსებულია 15 კომპიუტერი. ყველა კომპიუტერი გამართულია და ჩართულია ელექტრონულ ქსელში.<br><br>დაწესებულებას აქვს ვებ-გვერდი _tsodna.edu.ge, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, აქტიურად შუქდება სკოლის კულტურული ღონისძიებები და აქტივობები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1.ვიზუალური დათვალიერება;<br>2.ვებ-გვერდი;<br>3.შესყიდვის ხელშეკრულებები;<br>4. სასაქონლო ზედნადებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვისთვის შემუშავებულია საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლების სამინისტრისტროსთან. ასევე სკოლაში დასაქმებულია შრომის უსაფროთხოებს მენეჯერი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ყველა შენობის, თითოეულ სართულზე თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული ევაკუაციის გეგმები, რომლებიც შედგენილია ქ. თბილისის სსიპ - საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. საევაკუაციო გეგმები;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული აქვს შპს ცოდნის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესი, რომელშიც გაწერილია გადაუდებელი შემთხვევების, ხანძრისა და სკოლის გარეთ დაგეგმილი აქტივობების დროს სამედიცინო საჭიროებებისა და გადაუდებელი შემთხვევების სამედიცინო მხარდაჭერის წესები. აღნიშნულ დოკუმენტს თან ერთვის ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით შემუშავებული რეგულაციები, რომლებიც ეყრდნობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ წესს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელსაც აქვს თავისი სველი წერტილი, აღჭურვილია ონკანით და ხელის დაბანის საშუალებებით.<br><br>კაბინეტი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი ინვენტარით, თუმცა სრულად შესაბამისობაში არ არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კერძოდ, ოთახში არ არის ტიხრული შირმა, რომელიც საჭიროა პაციენტთა პრივატულობის უზრუნველსაყოფად.<br>დაწესებულებაში მუშაობს დიპლომირებული ექიმი.<br><br>➢ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სამედიცინო კაბინეტის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და მოწესრიგების შესახებ. კერძოდ, დაწესებულებამ მოაწესრიგა სამედიცონო აღრიცხვის ჟურნალები/დოკუმენტაცია , შეიძინა შირმა და მობილური ხელსაბანი ვიზიტის პერიოდშივე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს ცოდნის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესი;<br>2. ექიმის პირადი საქმე;<br>3. სამედიცინო შემთხვევებისა და მედიკამენტების სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>4. ექთნებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი,<br>2. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა გარე პერიმეტრს (ფეხით მოსიარულეთა სავალ ნაწილს) აკონტროლებს 1 კამერით. ეზოს - 3, აქედან ერთი არ იყო გამართული. შენობა-ნაგებობების შიდა პერიმეტრს 7 კამერით. ვიდეოსალემთვალყურეო სისტემის პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებას.<br>აღსანიშნავია, რომ კამერით ბოლომდე ვერ კონტროლდებოდა ეზის მარჯვენა ნაწილი და ასევე მეორე სართულზე კიბის უჯრედი, აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, ხოლო სკოლის ადმინისტრაციამ ვიზიტის დასრულებამდე გადმოგზავნა ფოტომასალა, რომელზეც ასახულია კიბის უჯრედზე და ეზოში დამონტაჟებულია კამერები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ვიდეო-კამერის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. ვიზუალური დათვალიერება;<br>3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებამ წარმოადგინა წესდება, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი, სკოლის დებულება და თანამდებობრივი ინსტრუქციები.<br><br>სკოლის შინაგანაწესში აღწერილია სამუშაო დრო და გაკვეთილების ხანგრძლივობა, შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის წესი, შვებულების ხანგრძლივობა და პირობები, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, სკოლაში ჩარიცხვის პირობები და სხვა.<br><br>შპს ცოდნის დებულება განსაზღვრავს სკოლის მართვის ორგანოებსა და მათ ფუნქციებს. კერძოდ კი, დირექციის, პედაგოგიური საბჭოს და საგნობრივი კათედრების საქმიანობის სფეროს, მიზნებს, ფუნქციებსა და ორგანიზაციულ მოწყობას.<br><br>თანამდებობრივი ინსტრუქციები აზუსტებს სკოლაში დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობებსა და განსახორციელებელ საქმიანობას.<br>სკოლის გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი დოკუმენტაცია შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს ცოდნის შინაგანაწესი;<br>2. შპს ცოდნის დებულება;<br>3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი გეგმები. მათი შესწავლის საშუალებით დადგინდა, რომ გაწერილი აქტივობები ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შეესაბამება სკოლის მისიას და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლოს საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. კერძოდ, განვითარების ერთწლიანი გეგმა (2021-2022 წელი) მოიცავს თვეების მიხედვით გაწერილ აქტივობებს და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ჩამონათვალს. აქტივობები დაჯგუფებულია 8 მთავარი მიმართულების მიხედვით:<br>1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა<br>2. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო<br>3. საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია<br>4. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა - მასწავლებელთა პროფესიული განვითარება<br>5. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა - მოსწავლეების სწავლა-სწავლების ამაღლება<br>6. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში<br>7. საერთაშორისო კავშირების დამყარება და განვითარება<br>8. საქმიანობების მონიტორინგისა და სკოლის თვითშეფასების მუდმივმოქმედი ციკლის დანერგვა<br>9. თუმცა, დარღვეულია მიმართულებების ნომერაცია.<br>განვითარების გრძელვადიანი გეგმა არ არის სრული დოკუმენტი. გეგმას არ აქვს ნარატიული სახე. არ არის წარმოდგენილი გეგმის დაწერამდე შპს ცოდნის სიტუაციური ანალიზი, სკოლამ წარმოადგინა SWOT ანალიზი, რომელშიც ბუნდოვანია საკითხები, მაგალითად სკოლის შიდა ძლიერ მხარეშია: „კონკურენტების არარსებობა უბანში“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, არსებული სტრატეგიული ექვსწლიანი გეგმისა და სვოტ ანლიზის გაახლება/დაკორექტირების. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა;<br>2. შპს ცოდნის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებლებამ წარმოადგინა საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლის მიხედვითაც აღირიცხება შემოსული და გასული კორესპონდენცია, მიმდინარეობს ბრძანებების გამოცემა, ხელშეკრულებების გაფორმება და აღრიცხვა, პირადი საქმეების წარმოება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს ცოდნის ს საქმისწარმოების წესი;<br>2. საქმისწარმოების აღრიცხვის ჟურნალები;<br>3. პირადი საქმეები;<br>4. ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება;<br>5. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | შპს ცოდნის მთავარ შესასვლელში დამონტაჟებულია არა მიზანშეწონილი დახრილობის მქონე პანდუსი, სადაც ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლე დამოუკიდებლად ვერ ავა და დიდია რისკი ტრავმის. სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია და უკვე ვიზიტის მეორე დღესვე შპს ცოდნამ დაიწყო თანამედროვე, სტანდარტის შესაბამისი პანდუსის შექმნის სარეაბილიტაციო სამუშაოები;<br><br>დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სამედიცინო კაბინეტის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და მოწესრიგების შესახებ.<br>კერძოდ, დაწესებულებამ მოაწესრიგა სამედიცონო აღრიცხვის ჟურნალები/დოკუმენტაცია , შეიძინა შირმა და მობილური ხელსაბანი ვიზიტის პერიოდში;<br><br>კამერით ბოლომდე ვერ კონტროლდებოდა ეზოს მარჯვენა ნაწილი და ასევე მეორე სართულზე კიბის უჯრედი, აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, ხოლო სკოლის ადმინისტრაციამ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ვიზიტის დასრულებამდე გადმოგზავნა ფოტომასალა, რომელზეც ასახულია კიბის უჯრედზე და ეზოში დამონტაჟებული კამერები.<br><br>განვითარების გრძელვადიანი გეგმა არ არის სრული დოკუმენტი. გეგმას არ აქვს ნარატიული სახე. არ არის წარმოდგენილი გეგმის დაწერამდე შპს ცოდნის სიტუაციური ანალიზი, სკოლამ წარმოადგინა SWOT ანალიზი, რომელშიც ბუნდოვანია საკითხები, მაგალითად სკოლის შიდა ძლიერ მხარეშია: „კონკურენტების არარსებობა უბანში“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, არსებული სტრატეგიული ექვსწლიანი გეგმისა და სვოტ ანლიზის გაახლება/დაკორექტირების. |
| რჩევები: | კაბინეტი სადაც არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებული მცირეზომისაა, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია ლაბორატორიის სხვა ოთახში მოწყობასთან დაკავშირებით;<br>სკოლას აქვს საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტში, რომელიც განთავსებულია სააქტო დარბაზში, კოლის ადმინისტრაციის განცხადებით საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობის დროს დარბაზით და ბიბლიოთეკით (რომელშიც შესვლა შესაძლებელია, მხოლოდ დარბაზის გავლით) არავინ სარგებლობს, რაც გაწერილია ბიბლიოთეკის სარგებლობის ცხრილში და ასევე მორიგე მასწავლებელი აკონტროლებს ყოველივეს. ექსპერტმებმა აღნიშნულთან დაკავშირებით ურჩიეს დაწესებულებას ტექნოლოგიების კაბინეტის სხვა კლასში გადატანილოყო. |
| ხარვეზები: | შპს ცოდნას გაფორმებული აქვს იჯარით სარგებლობის ხელშეკრულება სსიპ - კოლეჯ „მერმისთან“ (ს/კოდი 209467646) 5 წლის ვადით- 2021 წლიდან. სსიპ - კოლეჯ „მერმისს“ აღნიშნული შენობა გადაცემული აქვს უზურფრუქტით სახელმწიფოს მხრიდან.<br>ვინაიდან რეავტორიზაციის ვადაა 6 წელი, ხოლო აღნიშნული იჯარის საფუძველზე შენობით სარგებლობის უფლება სკოლას აქვს 4 წელი შესაბამისობაში არ მოდის ავტორიზაციის მოთხოვნებთან. |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☒ სტანდარტი დარღვეულია |

### 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის სკოლას ჰყავს 75 თანამშრომელი. მათ შორის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, 36 მასწავლებელი, ოფის მენეჯერი, IT სპეციალისტი, იურისტი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, იურისტი, ფინანსური მენეჯერი, სამეურნეო მენეჯერი, ექთანი, ექიმი, შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, უსაფრთხო სკოლის მენეჯერი, კომუნიკაციის მენეჯერი და სხვა დამხმარე პერსონალი.<br><br>ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის წესის გათვალისწინებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;<br>2. სკოლის შინაგანაწესი;<br>3. საშტატო განრიგი;<br>4. eSchool-ის ბაზა;<br>5. 2021-2022 წლის საათობრივი ბადე;<br>6. გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 36 |
| მოწვეული/მაძიებელი | 1/2/3 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| უფროსი მასწავლებლი | 26 |
| წამყვანი მასწავლებლი | 1 |
| მენტორის სტატუსი | - |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა უმრავლესობა ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ხელშეკრულება<br>2. eSchool ბაზა |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის მიხედვით გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. სკოლას ორიენტირებულია თანამშრომელთა მოტივაციაზე, რაც გამოიხატება სიტყვიერი და მატერიალური სახის ჯილდოები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სკოლის შინაგანაწესი;<br>2. სკოლის თანამშრომელთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და ანაზღაურების წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა.<br><br>აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს ხელშეკრულებები გაფორმებული ჰქონდათ 1 წლის ვადით უმეტესწილად 2022 წლის სექტემბრამდე, ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძელზე პედაგოგებთან ხელშეკრულებები გამორმებულია 2023 წლის ივლისის ჩათვლით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>2. სკოლის შინაგანაწესი;<br>3. პირადი საქმეები;<br>4. გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში შექმნილია პროფესიული განვითარების ხელშეწყობის დოკუმენტი, სადაც გაწერილია მასწავლებლის პფორესიული განვითარებისათვის ხელშემწყობი აქტივობები: ურთიერთდასწრება, საქაღალდის შექმნა, არაფორმალური დასწრება და სხვა.<br><br>სკოლა მატერიალურ-ტექნიკური კუთხით ხელს უწყობს პროფესიული განვითარების ტერენინგების ჩატარებას და ნაწილობრივ დაფინანსებას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის დოკუმენტი;<br>2. გადახდის ქვითრები;<br>3. ინტერვიუები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის თანახმად, თითოეულ თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები. სკოლის თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა კლუბები.<br>ასევე აქტიურად ტარდება სასკოლო კონფერენციები, ღონისძიებები. ხშირად ეწყობა მიზნობრივი გასვლითი ღონისძიებები და საქველმოქმედო აქციები.<br>სკოლას 2021-2022 სასწავლო წელს ჰქონდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განხორციელებული პროექტი ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემის მიხედვით, კერძოდ: კულტურული მრავალფეროვნება; რომლის შესახებ აღფრთოვანებით ისაუბრეს მოსწავლეებმა, მშობლებმა, მასწავლებლებმა და ადმინისტრაციამ.<br>აღსანიშნავია, რომ სკოლას უმრავლეს შემთხვევაში არ ჰქონდა შეთანხმებები მშობლებთან, მოსწავლეების პირადი ინფორმაციის საჯაროობასთან მიმართებით, აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იქნება 2022-2023 სასწავლო წლის პედრიოდში გაფორმებულ ხელშეკრულებებში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სკოლის შინაგანაწესი;<br>2. გასაუბრება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 3. თვითმმართველობის დებულება, ანგარიში, სამოქმედო გეგმა;<br>4. ფოტოსურათები;<br>5. ვებგვერდი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | მასწავლებლებს ხელშეკრულებები გაფორმებული ჰქონდათ 1 წლის ვადით უმეტესწილად 2022 წლის სექტემბრამდე, ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძელზე პედაგოგებთან ხელშეკრულებები გამორმებულია 2023 წლის ივლისის ჩათვლით.<br>სკოლას უმრავლეს შემთხვევაში არ ჰქონდა შეთანხმებები მშობლებთან, მოსწავლეების პირადი ინფორმაციის საჯაროობასთან მიმართებით, აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იქნება 2022-2023 სასწავლო წლის პედრიოდში გაფორმებულ ხელშეკრულებებში. |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

1. შპს ცოდნის ა/წლის 15 აპრილის №744 წერილი (დანართი 1) 2 გვერდი.

ქ. თბილისი 23.08.2022 წ.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა 50 (ორმოცდაორი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ზ.ა.